ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 9/46

2024 წლის 30 ივლისი

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე მდებარე 313.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.04.997) შპს „მედლოგ ფოთისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 15 (თხუთმეტი) წლის ვადით, სარკინიგზო ლიანდაგის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, ქალაქ ფოთში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე მდებარე 313.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.04.997) წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

შპს „მედლოგ ფოთი" 2024 წლის 22 აპრილის №01/OUT/29 განცხადებით (№10/422411432-42) და 2024 წლის 10 სექტემბრის №01/OUT/72 წერილით (№10/4224254167-42) ითხოვს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე მდებარე 313.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.04.997) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 15 (თხუთმეტი) წლის ვადით, სარკინიგზო ლიანდაგის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემას.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წინადადებით შემოვიდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე მდებარე 313.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.04.997) შპს „მედლოგ ფოთისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 15 (თხუთმეტი) წლის ვადით, სარკინიგზო ლიანდაგის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მისაღებად.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, ხოლო მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას – მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ. მუნიციპალიტეტის ქონების

სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არაუმეტეს 2 წლის ვადით, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

ამასთანავე, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 8 დეკემბრის, №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არა უმეტეს 2 წლის ვადით, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 8 დეკემბრის, №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე მდებარე 313.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.04.997) შპს „მედლოგ ფოთისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 15 (თხუთმეტი) წლის ვადით, სარკინიგზო ლიანდაგის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე მდებარე 313.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.04.997) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 15 (თხუთმეტი) წლის ვადით, სარკინიგზო ლიანდაგის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, იჯარის ფორმით სარგებლობაში გადასცეს შპს „მედლოგ ფოთს" (ს/კ 215083139).

მუხლი 2.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე მდებარე 313.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.04.997) შპს „მედლოგ ფოთისათვის" (ს/კ 215083139) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 15 (თხუთმეტი) წლის ვადით, სარკინიგზო ლიანდაგის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემისას, ქირის წლიური საფასურის ოდენობა განსაზღვროს 6000.00 (ექვსი ათასი) ლარით.

მუხლი 3.

საიჯარო ქირა მოიჯარემ უნდა გადაიხადოს ყოველწლიურად (ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან ყოველი საიჯარო წლის განმავლობაში).

მუხლი 4.

ხელშეკრულების ხელმოწერიდან ყოველი 5 (ხუთი) წლის ვადის გასვლის შემდგომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ უნდა განხორციელდეს საიჯარო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების/წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრა „დიდ ოთხეულში“ შემავალი აუდიტორული კომპანიის მიერ და ფასთა სხვაობის შემთხვევაში მხარეთა ორმხრივი ხელმოწერით, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ წლიური საიჯარო ქირის ოდენობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, მაგრამ არანაკლებ წინამდებარე განკარგულებით დადგენილი ქირის წლიური საფასურის ოდენობის - 6000.00 (ექვსი ათასი) ლარისა.

მუხლი 5.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი. დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 6.

განკარგულება ძალაშია 2024 წლის 30 სექტემბრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ტყებუჩავა**